

ხელშეკრულება

ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის Bmatch პლატფორმის გამოყენებით ვალუტის ელექტრონული ვაჭრობის წესებისა და პირობების შესახებ

წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის BMatch პლატფორმის (შემდგომში – სავაჭრო სისტემა) მეშვეობით ვალუტით ელექტრონული ვაჭრობის წესებსა და პირობებს.

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის მიზნით, კლიენტის დავალების საფუძველზე, ბანკი საკუთარი სახელითა და კლიენტის ფულადი სახსრებით მოქმედებს ვალუტით ელექტრონული ვაჭრობისას, რისთვისაც, კლიენტი თანახმაა, გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკომისიო. თავის მხრივ, “ბანკი” აცხადებს თანხმობას, გაუწიოს “კლიენტს” ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.
- 1.2. ამ დოკუმენტში აღწერილ მომსახურებათა მისაღებად კლიენტი ბანკს მიმართავს შესაბამისი წერილობითი განცხადებით რომელზე ხელმოწერისთანავე ის იმავდროულად ადასტურებს, რომ დეტალურად იცნობს ამ ხელშეკრულების ყველა პირობას და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ამ ხელშეკრულებას.
- 1.3. მხარეები თანხმდებიან, წინამდებარე ხელშეკრულებით აღწერილი მომსახურების აღსრულებისას იხელმძღვანელონ ამ ხელშეკრულებითა და სავალუტო ბაზარზე საქმიანობისათვის გათვალისწინებული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესებით, შესაბამისად, იგულისხმება, რომ საკითხი, რომელიც არ არის დარეგულირებული წინამდებარე დოკუმენტით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ვალუტით ვაჭრობის განაცხადის შესრულების წესი და წინაპირობები

- 2.1. სავაჭრო სისტემის მეშვეობით ბანკი თავისი სახელითა და კლიენტის დავალებით სავაჭრო სისტემაში განათავსებს ვალუტის ყიდვის და/ან გაყიდვის განაცხადს, რომელიც გაცვლითი კურსის თანხვედრის შემთხვევაში სავაჭრო სისტემის მიერ დაკმაყოფილდება ავტომატურად.
- 2.2. კლიენტის მიერ ვალუტით ვაჭრობის შესახებ ბანკში დავალების გაგზავნა ხორციელდება დისტანციურად, ინტერნეტბანკში სპეციალურად საამოსოდ შექმნილი პროგრამული მოდულის მეშვეობით, სადაც კლიენტი ვალდებულია მიუთითოს ბანკში მის სახელზე არსებული მიმდინარე ანგარიშ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია, გარიგების თანხა და სასურველი ვალუტის კურსი. კლიენტის მიერ დავალების განთავსების წინაპირობას წარმოადგენს, კლიენტის საბანკო ანგარიშზე არსებული: ა) კლიენტის კუთვნილი ფულადი სახსრები, დავალებაში მითითებული თანხის სრული ოდენობით; ბ) დავალებაში მითითებული თანხის სრული მოცულობის 5 %-ის შესაბამისი საგარანტიო თანხა.
- 2.3. კლიენტის დავალებები ბანკში მიღებულ უნდა იქნას სამუშაო დღის 10:00 საათიდან არაუგვიანეს 17:45 საათამდე.
- 2.4. კლიენტისთვის ცნობილია, რომ Bmatch პლატფორმის წესების თანახმად, დავალების განთავსების საწყისი მინიმალური თანხა წარმოადგენს 100 000 (ასი ათას) აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში, ხოლო გარიგების თანხის ყოველი მომდევნო ზრდა უნდა შეესაბამებოდეს 10 000-ის (ათი ათასი) ჯერად რიცხვს.
- 2.5. ბანკი, ხელშეკრულების 2.2. პუნქტით გათვალისწინებული დავალების მიღებისას, სავაჭრო სისტემაში არეგისტრირებს განაცხადს, რომელიც სრულად შეესაბამება კლიენტის დავალებაში მითითებულ მონაცემებს და კლიენტს პროგრამული მოდულის მეშვეობით, აწვდის ინფორმაციას აღნიშნული განაცხადის სტატუსის შესახებ.
- 2.6. კლიენტისთვის ცნობილია, რომ სავაჭრო სისტემა უზრუნველყოფს სისტემაში არსებული განაცხადების ავტომატურ დაწყვილებას (მეჩინგს) და იმ შემთხვევაში, თუ სავაჭრო სისტემის სხვა მონაწილის მიერ შეთავაზებული ვალუტის კურსი დაემთხვევა კლიენტის დავალებაში მითითებულ ოდენობას, გარიგება დაიდება (გარიგების დადების დღე).
- 2.7. გარიგების სრულად ან ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, კლიენტის დავალებით კონვერტირებული თანხა დაუბრუნდება კლიენტს მის მიერ დავალების გამოგზავნისას მითითებულ საბანკო ანგარიშზე, გარიგების დადების დღის მომდევნო დღეს, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც მომდევნო დღე არის შაბათი, კვირა ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დასვენების დღეები. ასეთ შემთხვევაში, ოპერაცია დასრულდება აღნიშნული დღეების მომდევნო სამუშაო დღეს.
- 2.8. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, მხარეები თანხმდებიან, რომ:
 - 2.8.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებით დავალების შესრულებისას, დავალებები აღსრულდება სამართლიანობისა და გონივრულობის პრინციპით, ასეთ მომენტში ბაზარზე მოქმედი წესებისა და პირობების, ასევე ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობებიდან გამომდინარე.
 - 2.8.2. Bmatch პლატფორმის წესების თანახმად, გარიგება შესაძლებელია შესრულდეს კლიენტის მიერ მითითებულისგან განსხვავებული ვალუტის კურსით, კლიენტისთვის მეტად ხელსაყრელი სავაჭრო პირობების შექმნის მიზნით.
 - 2.8.3. სავალუტო ვაჭრობის პროცესში, Bmatch პლატფორმის წესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გარიგება დაიდოს კლიენტის მიერ დავალებაში მითითებული თანხის ნაწილზე (ნაწილობრივი შესრულება), რის თაობაზეც კლიენტს ეცნობება დაუყოვნებლივ და შესრულებული გარიგების შესაბამისი კონვერტირებული თანხა დაუბრუნდება ამ ხელშეკრულების 2.7. პუნქტით გათვალისწინებული წესით, ხოლო ნაწილობრივ შესრულებული გარიგების შესრულებული ნაშთი დაუბრუნდება არაუგვიანეს დავალების განთავსების დღის 18:00 საათისა მის მიერ დავალების განთავსებისას მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
 - 2.8.4. საგარანტიო თანხით ვაჭრობისას, ნაწილობრივად შესრულებული გარიგების შემთხვევაში, ბანკის მიერ საგარანტიო თანხა დაანგარიშდება შესრულებული გარიგების თანხიდან, ხოლო სხვაობა თავდაპირველად განთავსებული მთლიანი გარიგების თანხიდან, კლიენტს დაუბრუნდება დავალების გამოგზავნისას მითითებულ ანგარიშზე არაუგვიანეს დავალების განთავსების დღის მომდევნო დღის 18 საათისა.

- 2.8.5. კლიენტის დავალების შესრულება განხორციელდება ე.წ. „first come first served“ პრინციპით, რაც გულისხმობს კლიენტის მიერ მიღებული დავალების პრიორიტეტიზირებას დავალების განთავსების დროისა და ფასის მიხედვით. შესაბამისად, ერთსა და იმავე ტიპის ოპერაციაზე რამდენიმე იდენტური დავალების არსებობის შემთხვევაში, შესრულება პირველ რიგში მიღებული, საუკეთესო ფასის მქონე დავალება.
- 2.9. სავაჭრო სისტემის მეშვეობით დადებული გარიგებები საბოლოო და ექვემდებარება დაუყოვნებლოვ აღსრულებას. გარიგების გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია დააწესოს დამატებითი საკომისიო. მხარეები თანხმდებიან, რომ გარიგების დადების შემდეგ სავალუტო ბაზარზე კურსის ცვლილება არ შეიძლება გახდეს გარიგების გაუქმების საფუძველი.
- 2.10. ბანკი უფლებამოსილია, არ მიიღოს შესასრულებლად კლიენტის დავალება ან/და უარი განაცხადოს დავალების შესრულებაზე, ქვემოთ მითითებული ერთ-ერთი ან რამდენიმე გარემოების არსებობისას:
- 2.10.1. დავალება არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან/და ბანკში დადგენილ წესებსა და პროცედურებს;
- 2.10.2. დავალება შეიცავს არაზუსტ ინფორმაციას;
- 2.10.3. დავალება არ შეიცავს ბანკის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას;
- 2.10.4. კლიენტის მიერ გაცხადებული ვალუტის კურსი მნიშვნელოვნად სცდება გონივრულობის ფარგლებს ან სავალუტო ბაზარზე იმ დროისთვის მოქმედ გაცვლით კურსებს;
- 2.10.5. კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე არსებული თანხა (შესაბამისი საკომისიოს ჩათვლით), არ არის საკმარისი დავალების შესასრულებლად;
- 2.10.6. დავალების შესრულებისთვის აუცილებელი თანხა ან მისი ნაწილი დაბლოკილია (მათ შორის, ბანკის მიერ დაბლოკვის შემთხვევაში);
- 2.10.7. კლიენტის ანგარიშ(ებ)ის და/ან ანგარიშ(ებ)ზე არსებული თანხების მიმართ ვრცელდება სამართლებრივი შეზღუდვა (მათ შორის, თუ თანხა ექვემდებარება საჯარო სამართლებრივ შეზღუდვას);
- 2.10.8. ბანკს დადგენილი წესით არ მიუღია დავალება;
- 2.10.9. არსებობს სხვა ისეთი ხარვეზი/გარემოება რომელიც შეუძლებელს ხდის დავალების შესრულებას.

3. მხარეთა უფლებამოსილებები

- 3.1. ბანკი უფლებამოსილია:
- 3.1.1. სავაჭრო სისტემაში კლიენტის დავალებით სავალუტო გარიგების შესრულების შესახებ განაცხადების წარმოებისთვის კლიენტს დაუწესოს ფიქსირებული საკომისიო გადასახადი.
- 3.1.2. კლიენტის დავალება მიიღოს კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე შესაბამისი ნაშთის არსებობის შემთხვევაში. ამასთან, თუ კლიენტი სარგებლობს საკრედიტო ლიმიტით/ოვერდრაფტით – ბანკი უფლებამოსილია, დავალების შესრულების მიზნით თანხები ჩამოწეროს კლიენტის საკრედიტო ლიმიტის/ოვერდრაფტის ფარგლებში.
- 3.1.3. კლიენტის მიერ დავალების მიღებისთანავე, ამ დავალების შესრულების მიზნით, ბანკში კლიენტის სახელზე არსებული ანგარიშ(ებ)იდან, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, ჩამოჭრას მიღებული დავალების თანხა/საგარანტიო თანხა და საკომისიო გადასახადი და გადაიტანოს წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის გახსნილ კლიენტის შიდასაბანკო ანგარიშზე გარიგების სრულად ან ნაწილობრივ შესრულებამდე ან მის გაუქმებამდე;
- 3.1.4. კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულების 3.6.5 პუნქტით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დააკისროს კლიენტს პირგასამტეხლო შესრულებული გარიგების თანხის 5 %-ის ოდენობით; ამასთან, აღნიშნული პირგასამტეხლოს შესაბამისი თანხის განსხვავებულ ვალუტაში დაფიქსირების შემთხვევაში, ექვივალენტი განისაზღვრება ბანკის მიერ თანხის ჩამოწერის მომენტისათვის დადგენილი კურსით.
- 3.1.5. გააუქმოს ყველა ის არსებული განაცხადი, რომელთა მიმართ სრულად ან/და ნაწილობრივ ვერ შესრულდა გარიგება სავაჭრო სისტემაში მიმდინარე დღის 18:00 საათამდე, რისთვისაც უფლებამოსილია, დააკისროს კლიენტს განაცხადის გაუქმების საკომისიო.
- 3.1.6. იმ შემთხვევაში, თუ ნაწილობრივად შესრულებული გარიგების შეუსრულებელი ნაშთი ნაკლებია ამ ხელშეკრულების 2.4. პუნქტში მითითებული გარიგების მინიმალური თანხის ოდენობაზე, დაუყოვნებლივ გააუქმოს დავალება და დაუბრუნოს კლიენტს ასეთი თანხა. ამასთან, კლიენტი თავისუფლდება განაცხადის გაუქმებისთვის გათვალისწინებული საკომისიოს გადახდისგან.
- 3.1.7. ბანკის წინაშე წარმოშობილი ნებისმიერი ვალდებულების მათ შორის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის ჯარიმისა და პირგასამტეხლოს) შესრულების მიზნით, ასეთი ვალდებულების წარმოშობის შემდეგ ნებისმიერ დროს, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე (უაქცეპტო წესით) ჩამოწეროს თანხა კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან. იმ შემთხვევაში, თუ დავალიანება დაფიქსირებულია ანგარიშზე არსებული თანხის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, ექვივალენტი განისაზღვრება ბანკის მიერ თანხის ჩამოწერის მომენტისათვის დადგენილი კურსით.
- 3.1.8. ბანკი არ აგებს პასუხს კლიენტის შეცდომებზე. კლიენტის მიერ განაცხადში მითითებული ინფორმაციის უზუსტობის/უსწორობის არსებობისას განაცხადის გაუქმების შემთხვევაში, უფლებამოსილია დააკისროს კლიენტს განაცხადის გაუქმების საკომისიო.
- 3.2. ბანკი ვალდებულია:
- 3.2.1. კლიენტის დავალებები, რომელიც სრულად შეესაბამება ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს სავალუტო ოპერაციის განხორციელების თაობაზე, მიიღოს და სავაჭრო სისტემაში განათავსოს დაუყოვნებლივ;
- 3.2.2. კლიენტისგან დავალების გაუქმების მოთხოვნა მიიღოს არაუგვიანეს დავალების განთავსების დღის 18:00 საათისა;
- 3.2.3. კლიენტთან წინასწარ შეთანხმებული წესით, მისთვის ცნობილი გახადოს ინფორმაცია სავალუტო ვაჭრობის მიმდინარეობის ეტაპების შესახებ;

3.2.4. არ შეცვალოს დავალების პირობები კლიენტისგან განსაზღვრული დავალების მიღებამდე.

3.2.5. გარიგების დადების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს გარიგების დადების დღის 18:05 საათისა ამის შესახებ შეატყობინოს კლიენტს.

3.2.6. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვალეობები შეასრულოს იმგვარი ყურადღებით და მიდგომით, როგორც ეს იქნებოდა საკუთარი მოქმედებების შესრულების დროს.

3.2.7. შეასრულოს ზემოაღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო მოქმედება.

3.3. ბანკი პასუხისმგებელია კლიენტის წინაშე ანგარიშზე ოპერაციების წარმოების სისწორესა და დროულობაზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.4. ბანკი არ არის ვალდებული, კლიენტს გაუმჟღავნოს დეტალური ინფორმაცია სავაჭრო სისტემაში დავალების განხორციელებისას მის მიერ განხორციელებული ქმედებების შესახებ.

3.4. ბანკი არ არის პასუხისმგებელი ზარალზე, რომელიც მიადგება “კლიენტს” იმ შემთხვევაში თუ “ბანკი” ვერ ასრულებს დავალებებს კანონით და წესებით დადგენილი შეზღუდვების გამო ან სავალუტო ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე.

3.5. კლიენტი უფლებამოსილია:

3.5.1. მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია იმ საკომისიოს, გადასახდელების ოდენობის და იმ პროცედურების შესახებ, რომელთა განხორციელებაც აუცილებელია, რათა ბანკმა შეასრულოს ამ ხელშეკრულებით დავალებული მოქმედება;

3.5.2. მიიღოს სრული ინფორმაცია ბანკისგან დავალებული მომსახურების ეტაპების შესახებ კლიენტთან შეთანხმებული ფორმით.

3.5.3. გააუქმოს დავალება ბანკის მიერ სავაჭრო სისტემაში ნებისმიერ დროს, მაგრამ არაუგვიანეს განაცხადის განთავსების დღის 18:00 საათისა, რისთვისაც ვალდებულია, გადაიხადოს განაცხადის გაუქმების საკომისიო ბანკის მიერ დადგენილი ტარიფების მიხედვით.

3.6. კლიენტი ვალდებულია:

3.6.1. დავალება განთავსოს არაუგვიანეს წინამდებარე ხელშეკრულების 2.3 პუნქტით განსაზღვრული დროისა;

3.6.2. დავალების განთავსების მომენტისთვის ბანკში გახსნილ მის კუთვნილ ანგარიშზე იქონიოს მოთხოვნილი დავალების შესაბამისი თანხა/საგარანტიო თანხა და ფიქსირებული საკომისიოს ოდენობა;

3.6.3. დავალება განთავსოს ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, სადაც მიეთითება ინფორმაცია შესასრულებელი კონვერტაციის შინაარსის, კუთვნილი მიმდინარე ანგარიშებისა და ვალუტის სასურველი კურსის თაობაზე; ასეთ დავალებაში მითითებული ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია მხოლოდ კლიენტი.

3.6.4. სავაჭრო სისტემაში გარიგების სრულად/ნაწილობრივ შესრულების შემდგომ დავალების გაუქმების მოთხოვნის შემთხვევაში, სრულად ანაზღაუროს ის ზიანი რაც შეიძლება ბანკს მიადგეს ამ პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებისას. ზიანის ანაზღაურება არ ათავისუფლებს მხარეს შესაბამისი საკომისიოს გადახდისგან, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

3.6.5. საგარანტიო თანხის განთავსების გზით ვაჭრობის შემთხვევაში, არაუგვიანეს დავალების განთავსების დღის მომდევნო დღის 15:00 საათისა, დავალების განთავსებისას მითითებული მისი კუთვნილი საბანკო ანგარიში შეავსოს შესრულებული გარიგების ოდენობამდე;

3.6.6. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გადაუხადოს ბანკს შესაბამისი საკომისიო;

4. სამართლიანი ფასები, საკომისიო და ანაზღაურება

5.1. კლიენტისა და ბანკის ფინანსური ურთიერთობა წესრიგდება ბანკის ტარიფებითა და ბანკსა და კლიენტს შორის დადებული, წინამდებარე ხელშეკრულების 1.2 პუნქტით განსაზღვრული განცხადებით.

5.2. კლიენტი ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულებისთვის ბანკს უხდის საკომისიოს, ფიქსირებული ტარიფის სახით, რომლის შესახებ ინფორმაციაც განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ინტერნეტგვერდზე: www.basisbank.ge

5.2. ბანკი ადასტურებს, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ანაზღაურება უნდა იყოს შესაფერისი და სამართლიანი.

5.3. ბანკი ვალდებულია, არ დაუწესოს კლიენტს სამართლიანზე მეტი საკომისიო ან მომსახურების ანაზღაურება, ამასთან დაკავშირებული ყველა გარემოების გათვალისწინებით.

5.4. ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები (დამატებები) მომსახურების ტარიფებში. აღნიშნულის შესახებ ბანკი კლიენტის ინფორმირებას ახდენს წინამდებარე ხელშეკრულების 7.3.-7.4. პუნქტებით დადგენილი წესით.

5. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

5.1. “კლიენტი” ადასტურებს, რომ სავალუტო ბაზარზე განხორციელებული გარიგებები დაკავშირებულია გარკვეულ ვარაუდებთან და მაღალ რისკებთან, რომლებიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, პოლიტიკურ რისკებით, მაღალი განაკვეთებით დაბეგვრით, პოლიტიკური და ეკონომიკური დესტაბილიზაციით, ვალუტის კურსის მერყეობით. “კლიენტი” აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ იგი აცნობიერებს მსგავს რისკ ფაქტორებს და ადასტურებს თავის ფინანსურ შესაძლებლობას იმ ზარალის შემთხვევაში, რომელიც დაკავშირებული იქნება ფულადი სახსრების მიმართ მსგავსი ფაქტორების მოქმედების დროს.

5.2. “კლიენტი”, აგრეთვე, აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:

ა. მას გააჩნია ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებული ყველა საჭირო უფლებამოსილება.

ბ. მიიღო ყველა სახის კონსულტაცია, რომელიც ჩათვალა საჭიროდ ან მისაღებად, წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერამდე.

5.3. “ბანკი” აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ იგი შექმნილია და ფუნქციონირებს კანონმდებლობის სრული დაცვით, აქვს სამართლებრივი უფლებამოსილება ხელი მოაწეროს ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებას და განახორციელოს მასში განსაზღვრული ვალდებულებები.

6. კონფიდენციალურობა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეების შესახებ ყველა სახის ინფორმაცია, ხელშეკრულება და მისი შინაარსი კონფიდენციალურია და არ ექვემდებარება გამჟღავნებას რომელიმე მხარის მიერ, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6.2. ბანკი აცხადებს, რომ წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში კლიენტთან მომსახურების გაწევისას, მას გააჩნია ინფორმაციის დაცვის შესაბამისი მექანიზმები, რომელიც იცავს კლიენტის კონფიდენციალურ ინფორმაციას ნებისმიერი უნებართვო წვდომისაგან როგორც მესამე პირების, ასევე ნებისმიერი სხვა არაუფლებამოსილი პირისაგან. ბანკი უზრუნველყოფს, მის შესაბამის თანამშრომელთა ფუნქციების სეგრეგირებასა და წვდომის შეზღუდვას კლიენტის შესახებ არსებულ ინფორმაციაზე, მათ შორის, კლიენტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ ინფორმაციაზე.

6.3. ბანკი ვალდებულია დაიცვას კლიენტის პერსონალური მონაცემები, კლიენტთან დაკავშირებული საბანკო ოპერაციების და ანგარიშების შესახებ ინფორმაციის საიდუმლოება (კონფიდენციალურობა), რომელიც მისთვის ცნობილი გახდა წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში კლიენტთან საქმიანი ურთიერთობისას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ან თუ საქმე ეხება ჩვეულებრივ საბანკო ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებითაც არ ილახება კლიენტის ინტერესები. ბანკის მიერ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ძალაშია ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემდეგაც.

6.4. ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინების სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

7. ხელშეკრულების მოქმედება და სხვა პირობები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

7.2. კლიენტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებით სარგებლობა, მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტამდე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე ბანკისთვის წერილობითი შეტყობინების გადაცემის მეშვეობით. ამ შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია, მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტის შესახებ ბანკისთვის წერილობითი შეტყობინების გადაცემიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა გადაუხადოს ბანკს მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა საკომისიო ან სხვა სახის გადასახდელი.

7.3. ბანკს უფლება აქვს, ცვლილებები ან/და დამატებები შეიტანოს წინამდებარე ხელშეკრულების ტექსტში, ასეთი ცვლილებების/დამატებების განხორციელებამდე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე ბანკის ინტერნეტგვერდზე www.basisbank.ge ან/და ბანკის სერვისცენტრების შენობებში შესაბამისი ინფორმაციის განთავსების მეშვეობით. ამასთან, თუ განხორციელებული ცვლილება იწვევს კლიენტის პირობების გაუმჯობესებას, იგი მაშინვე შედის ძალაში და ინფორმაცია ამის შესახებ კლიენტს ეგზავნება ცვლილების განხორციელებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

7.4. ამ ხელშეკრულების 7.3. პუნქტში აღწერილ შემთხვევაში კლიენტს უფლება აქვს, ბანკის ინტერნეტგვერდზე ან/და ბანკის სერვისცენტრების შენობებში ინფორმაციის განთავსებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის გასვლამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება ამ ხელშეკრულების 7.2. პუნქტით გათვალისწინებული წესით. ამ პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას იგულისხმება, რომ კლიენტს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის ბანკის წინაშე გადახდილი აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებული საკომისიო და სხვა გადასახდელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება ამ ხელშეკრულებით კლიენტისთვის დაკისრებული ყველა ვალდებულების სრულად შესრულებამდე.

8. ფორს-მაჟორული პირობები

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების სრული და/ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის, დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

8.2. მხარემ, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ამ გარემოებების დადგომიდან და დასრულებიდან არა უგვიანეს ხუთი დღისა წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს.

8.3. შეტყობინებლობის და დავიანებული შეტყობინების შემთხვევაში, მხარე კარგავს უფლებას, დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს.

8.4. შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორული გარემოებები დადასტურებულ უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფორს-მაჟორული გარემოებები ცნობილია საზოგადოდ.

8.5. ფორს-მაჟორი არ ათავისუფლებს მხარეებს მისი (ფორს-მაჟორის) დასრულების შემდეგ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისაგან.

8.6. თუ ფორს-მაჟორის (დაუძლეველი ძალის) მოქმედება გრძელდება 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე მეტ ხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ ხელშეკრულების ბედი; თუ მხარეები ვერ მიაღწევენ კომპრომისს, დავა გადაწყდება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით.

9. საერთო დებულებები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი დებულებისათვის ზიანის მიყენების გარეშე, “ბანკი” იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს შეცვალოს ამ ხელშეკრულების პირობები, რათა მოხდეს საბაზრო პირობებისა და შესაბამის საკანონმდებლო აქტებში განხორციელებული ცვლილებების ასახვა.

9.2. ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა დებულების ბათილობას.

9.3. ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად და დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

9.4. მხარეთა შორის წარმოქმნილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.5. წინამდებარე ხელშეკრულება მალა დგას მხარეებს შორის ყველა ამ დრომდე არსებულ ზეპირი თუ წერილობითი სახის ხელშეკრულებაზე და მოლაპარაკებაზე.

9.6. “კლიენტი” თანახმაა, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში მნიშვნელოვან საკითებზე შეთანხმების დროს, ბანკი დაეყრდნოს მხარეებს შორის სატელეფონო შეტყობინებებს. სადავო საკითხების წარმოშობის შემთხვევაში, “კლიენტის” მიერ “ბანკისთვის” ზეპირი დავალებების არსებობისას, ასეთი სატელეფონო საუბრის ჩანაწერი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან, რომ არცერთი მათგანი არ არის წინააღმდეგი და არ შეუშლის ხელს ასეთი ჩანაწერების გამოყენებას სადავო საკითხების გადაწყვეტის პროცესში და რომ დავების დარეგულირების დროს ასეთი ჩანაწერები გამოყენებული იქნება, როგორც მათი პოზიციების ობიექტური მტკიცებულება. მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე, შესაძლოა გაკეთდეს ჩანაწერის ნამდვილობის ექსპერტიზა.

11. მხარეთა შეტყობინებები

11.1. ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობით, ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით. წერილობითი შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს შეტყობინების გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე. ბანკს შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც (მათ შორის ელექტრონული (მოკლე ტექსტური შეტყობინება, ელ. ფოსტა,) ციფრული, სატელეფონო და სხვა).

11.2. კლიენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს ბანკს მისამართის, ტელეფონის ნომრის, ელექტრონული ფოსტის მისამართის ან/და სხვა საკონტაქტო მონაცემების შეცვლის შესახებ.

11.3. ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინების სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგებზე.